თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ. თელავი 19.03.2024 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ოთარი ესიტაშვილი; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი; ივანე დალაქიშვილი.**
სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები: **ლევან ბერძენაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, დავით ღაღანიძე, ზაზა ტატულიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, რამაზ ჩეკურიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, ეთერ გურგენაშვილი, ბაადურ გულიაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - **ანა ფეიქრიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი - **ნუგზარ ბაჩიაშვილი:** ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახური"-ს დირექტორი - **ივანე იორდანიშვილი.** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზურაბ სახიაშვილი;** მოქალაქე - **მაკა მოსიაშვილი; არჩილ მჭედლიშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი
2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

   თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

<u>მოისმინეს</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს - ანა **ფეიქრიშვილს.** მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებით დამტკიცებულ, თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის N9, N10 და N11 მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 1,00 ლარით.

აღნიშნულმა საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მარშრუტების პარამეტრებიდან გამომდინარე.

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს პროექტით წარმოდგენილ ტარიფს, რაზეც სრული მხარდაჭერა იყო

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ,“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი განსახილველად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს:</u> 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადი მიმოხილვა გააკეთა საკითხთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნათია ვაყელიშვილს.**

მან მიმოიხილა ბიუჯეტის პარამეტრები (დანართი 1 - ოთხი ფურცელი) და ამომწურავად ისაუბრა დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებზე. მათი კითხვები ძირითადად ეხებოდა ასათვისებელ ნაშთსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მომზადდა შესაბამისი შეფასება (დანართი 2 - ორი ფურცელი) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს 3</u>. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა ისაუბრა ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- **ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის თანხების მობილიზებაში, აგრეთვე, მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N322 განკარგულებით, მიზნობრივი ტრანსფერის თანხის დაზუსტებაში, რომლის გათვალისწინებითაც თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 70441,96 ათასი ლარის ოდენობით.

კომისიის წევრებმა სრულად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ ცვლილებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2022 წლის 28 დეკემბერს და ბიუჯეტი განისაზღვრა 35910.6 ათასი ლარით. 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის ასახვით, ასევე ჭარბი შემოსავლების გაზრდით შემოსულობებში და გადასახდელებში ასახვით დაზუსტდა თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი და განისაზღვრა 81529,77 ათასი ლარით.

შემოსავლების გეგმა 2023 წელს დაგეგმილი იყო 47396,95 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 48825,33 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 103,1%-ით.

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 63,46%-ს შეადგენს. იგი შედგება შემოსავლის 2 წყაროსგან: ქონების და დღგ-ს განაწილებიდან მისაღებ შემოსავლებად. ქონების გადასახადის სახით მიღებული 9355,89 ათასი ლარის შემოსავალი წარმოადენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქონებაზე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადახდილი ქონების გადასახადს. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული 22628,78 ათასი ლარი წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად დღგ-ს განაწილებით მიღებულ სახსრებს.

გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 32162,66 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 103,54%-ით.

- დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი იყო 22663,2 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 22628,78 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 99,85%-ით.
- ქონები გადასახადიდან 2023 წლის განმავლობაში შემოვიდა 9533,89 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 8400,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 113,5%-ით.

გრანტის სახით მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 21,41%-ს შეადგენს. გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 99,94%-ით, დაგეგმილი იყო 10860,3 ათასი ლარი, ფაქტმა შეადგინა 10854,28 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 11,46%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 5473,45 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 5808,39 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 106,12%-ით.

აქედან დიდი გადაჭარბებით 113,54%-ით შესრულდა პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი. 2023 წლის განმავლობაში შეადგინა 1986,97 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 1750,0 ათასი ლარი. გადაჭარბებით 105,31%-ით შესრულდა მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავლებმა. 2023 წელს დაგეგმილი იყო 222,0 ათასი ლარი, შემოსავალმა შეადგინა 233,78 ათასი. ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია დაგეგმილი იყო 1510,90 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1570,37 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 103,94%-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 84,09%-ით. დაგეგმილი იყო 1200,0 ათასი ლარი. მიღებულმა შემოსავალმა კი შეადგინა 1009,08 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 741,91 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 540,55 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 137,25% -ით.

სულ შემოსულობების გეგმა 2023 წლის განმავლობაში შესრულდა 102,69%-ით. დაგეგმილი იყო 49396,95 ათასი ლარი. მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 50679,94 ათასი ლარი.

ნაშთის ცვლილების შესახებ - 2023 წლის 01 იანვრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 19091,83 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - აღებული და ასანაზღაურებელი ვალდებულებები და თავისუფალი ნაშთი - 10757,29 ათასი ლარი, ჭარბი შემოსავლები - 2660,73 ათასი ლარი. 2024 წლის 01 იანვრისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 9062,16 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 9718,48 ათასი ლარი, აღებული და ასანაზღაურებელი ვალდებულებები და თავისუფალი ნაშთი, ჭარბი შემოსავლები - 1289,0 ათასი ლარი. ნაშთის ცვლილებამ შეადგინა (-12440,31) ათასი ლარი.

2023 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის დაფინანსების გათვალისწინებით, დაიხარჯა 1082,99 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 99.83%-ით). თელავის მუნიციპალიტეტში „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში გადმოცემული ქონების შესახებ და „საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის“ ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების შესაბამისად.

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გადასახდელების გეგმა შესრულდა 85,5%-ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 7830,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 6702,3 ათასი ლარი. თავდაცვის დაფინანსების გეგმა შესრულდა 90,16%-ით, დაგეგმილი იყო - 227,6 ათასი ლარი, შესრულდა – 205,2 ათასი ლარით. ეკონომიკურ საქმიანობაში, გეგმა შესრულდა 77,26%-ით. დაგეგმილი იყო - 35387,0 ათასი ლარი, შესრულდა 27338,7 ათასი ლარით. გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა 97,14%-ით. დაგეგმილი იყო - 1806,2 ათასი ლარი, შესრულდა 1754,6 ათასი ლარით. საბინაო კომუნალური მეურნეობის გეგმა შესრულდა 57,96%-ით. დაგეგმილი იყო -

14200,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8231,3 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სფეროში გადასახდელების გეგმა შესრულდა 96,52%-ით. დაგეგმილი იყო 393,8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 380,1 ათასი ლარი. გადასახდელების გეგმა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 83,28%-ით. დაგეგმილი იყო 8615,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7175,2 ათასი ლარი განათლების სფეროში დაგეგმილი იყო - 8817,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7686,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87,17%-ით. რაც შეეხება სოციალურ დაცვას - გეგმა შესრულდა 83,29%-ით. დაგეგმილი იყო -3614,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3010,9 ათასი ლარი.

გადასახადების გეგმა 2023 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 81529,77 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 63120,26 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 77,42%-ით.

2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება, წლის განმავლობაში ბიუჯეტით ამ მიმართულებით 63120,26 ათასი ლარი დაიხარჯა.

1. ინფრასტრუქტურის განვითარება - 35905,55 ათასი ლარი;
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1419,0 ათასი ლარი;
3. განათლება - 7686,29 ათასი ლარი;
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 7175,25 ათასი ლარი;
5. ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -3403,50 ათასი ლარი;
6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 7530,67 ათასი ლარი.

2023 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 96,60 ათასი ლარი,

1. 24,12198 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტში მდებარე მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად დამწვარი სახურავისა და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად;
2. 0,50 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად;
3. 0,30 ათასი ლარი - მოქალაქის დახმარების მიზნით, დანიშნულების შესაბამისი მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების უზრუნველსაყოფად;
4. 0.25 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, ქალაქ წნორიდან სოფელ კონდოლში გადმოსვენების ხარჯების დაფარვის უზრუნველსაყოფად;
5. 1,8 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულებების 9 (ცხრა) წარმომადგენლისათვის, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რეგიონში ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვაში, დაჯილდოების მიზნით, სასაჩუქრე ბარათების შეძენის უზრუნველსაყოფად;
6. 0,7 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად;

7. 1,0 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრები მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მომხდარ ხანძართან დაკავშირებით, ოჯახის დახმარების მიზნით.
8. 0,5 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად.
9. 50.04652 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშენში მდებარე მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად დამწვარი სახურავისა და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის;
10. 0,5 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად;
11. 15,28155 ათასი ლარი - სოფელ ვარდისუბანში არსებული სასმელი წყლის რეზერვუარის (V -7500m^3) გაწმენდის და დეზინფექციის სამუშაოებისათვის;
12. 1,6 ათასი ლარი - მოქალაქის დახმარების მიზნით, სამედიცინო მომსახურებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

შეფასება

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 86-ე მუხლის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“.

2024 წლის 19 მარტს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის წლიური გეგმა, შემოსულობების მიხედვით 2023 წლის განმავლობაში, შესრულდა 102,6%-ით. დაგეგმილი იყო 49396,95 ათასი ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 50679,94 ათასი ლარი.

გადასახდელების კუთხით გეგმის შესრულებამ შეადგინა 77,42%. 2023 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო - 81529,77 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 63120,26 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების კუთხით შესრულების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით თითქმის თანაბარი მაჩვენებელია და ზრდის ტენდენცია არ იკვეთება. (2022 წლის შემოსულობები შესრულდა 103,93%-ით. გეგმა - 65363.19 ათასი ლარი, საკასო შესრულება 67930.10 ათასი ლარი. 2022 წლის გადასახდელები შესრულდა 62.16%-ით. დაგეგმილი იყო 78075.97 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 48532.71 ათასი ლარი).

რაც შეეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის შემოსულობებს კომპონენტების მიხედვით, 2023 წელს მიღებული შემოსულობების დიდი ნაწილი მოდის შემოსავლებზე (48825.33 ათასი ლარი), ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალმა (ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები) 1854.61 ათასი ლარი შეადგინა.

2023 წლის თელავის მუნიციპალიტეტის შემოსავლების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა დამატებული ღირებულების გადასახადი (22628.78 ათასი ლარი), ქონების გადასახადი (9533.89 ათასი ლარი), რაც მთლიანი შემოსულობების 63.46%-ს შეადგენს. ქონების გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქონებაზე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადახდილ ქონების გადასახადს. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დღგ-ს განაწილებით მიღებულ სახსრებს.

გრანტებიდან შემოსავალი (10854.28 ათასი ლარი), რაც მთლიანი შემოსულობების 21.41%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლები - 5808.39 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 11.46%-ს შეადგენს. გასული წლის ბიუჯეტის შევსების დიდი წილი

ანალოგიურად მოდიოდა დამატებული ღირებულების გადასახადზე (20107.84 ათასი ლარი), ქონების გადასახადზე 7788.25 ათასი ლარი), გრანტებიდან შემოსავალზე (32328.81 ათასი ლარი) და სხვა შემოსავლებზე 5085.12 ათასი ლარი).

რაც შეეხება ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, დიდი წილი მოდის სუბსიდიების მუხლზე - 13958.75 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლზე - 6281.77 ათასი ლარი, შრომის ანაზღაურების მუხლზე - 4450.57 ათასი ლარი, სოც. უზრუნველყოფის მუხლზე - 1886.13 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლზე - 32061.55 ათასი ლარი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის თითქმის ანალოგიურია.

ბიუჯეტში მობილიზებული თანხები, გასული წლის მსგავსად გადანაწილებულია თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიხედვით პროგრამებსა და ქვეპროგრამებში. სადაც ყველაზე დიდი წილი მოდის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე - 35905.55 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის განვითარება - 7175.25 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3403.50 ათასი ლარი; განათლება - 7686.29 ათასი ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1419.0 ათასი ლარი, მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 7530,67 ათასი ლარი.

2024 წლის ბიუჯეტში სრულად არის გაწერილი ნაშთის თანხა თელავის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ დარგებზე.

საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის თანახმად, 2023 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში მოიცავს, განმარტებას პროგრამების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამასთან დაზუსტებული ასიგნებებისა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, პროგრამების შესრულების 30%-ზე დაბალი მაჩვენებელი მაქსიმალურად შემცირებულია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილებით, „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ შეაფასა დადებითად.